

საზოგადოებრივი კოლეჯი  
„გაგაბასიონი“

სმუღანბთა სავაზნიარო-პრეპეტიკული



ქონფერენცია

ქუთაისი 2014

## საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”

საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ დაარსდა 2012 წელს ბატონ რაინდი ლომაიას თაოსნობით და ხელმძღვანელობით და იმავე წელს გაიარა ავტორიზაცია.

კოლეჯი „კავკასიონი“ განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, ოცხელის ქ. №2-ში მდლივი კორპუსის V-VI-VII სართულებზე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მაღალი დონის სწავლებისათვის. კოლეჯის კაბინეტები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა და სხვა, მოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯში ამჟამად 10 პროფესიულ პროგრამას ეუფლება 330 სტუდენტი, რომელთა კვალიფიკაციაზე ზრუნავს 50 პედაგოგი, მათ შორის 25 დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეა.

კოლეჯში პედაგოგების მიერ რეგულარულად ტარდება საჩვენებელი ლექციები, მეცადინეობები მიმდინარეობს საპრეზენტაციო ფორმატში, რომლებშიც ჩართულნი არიან სტუდენტებიც. კოლეჯში სწავლის პარალელურად სტუდენტური კავშირის ხელმძღვანელობით ტარდება სხვადასხვა თვითშემოქმედებითი ღონისძიებები, რომელიც მათ ეხმარებათ თავიანთი უნარების გამოვლინებაში და უფრო საინტერესოს ხდის მათ ურთიერთობას. შესაბამისად, ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას საზოგადოებაში და უადვილებთ საკუთარი ადგილის პოვნას.

კოლეჯს მემორანდუმი გაფორმებული აქვს 30 პრაქტიკის ობიექტ-ორგანიზაციასთან, სადაც წარჩინებული სტუდენტები პროფილის შესაბამისად პარალელურად მუშაობენ.

კოლეჯი მზადაა მომავალშიც ყველაფერი გააკეთოს, რომ თავის წვლილი შეიტანოს, როგორც რეგიონის, ასევე საქართველოს მასშტაბით კვალიფიციური პროფესიული კადრების აღზრდა- ჩამოყალიბების საკითხში.

**სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული  
კონფერენციის მონაწილეებს**

მოგესალმებით, კონფერენციის მონაწილეებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საქართველოს წარმატებული მომავალი დამოკიდებულია სხვადასხვა დარგების განვითარებაზე და კვალიფიცირებული კადრების აღზრდაზე. სწორედ ამას ემსახურება დღეს ჩვენს კოლეჯში პირველი სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სხვა კუთხით შეხედონ თავიანთ შესაძლებლობებს და ისწავლონ საკუთარი თავის რეალური შეფასება, ეს ასევე იქნება ჩვენთან ამ ერთ წელიწადში მიღებული ცოდნის შეჯამება და იმის განსჯის შესაძლებლობა, რაზეც მომავალში უნდა გააკეთონ აქცენტი. კონფერენცია ჩვენთან ყოველწლიურად ჩატარდება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების დამოუკიდებლად აზროვნებას და მუშაობას.

კოლეჯის დირექტორი, პროფესორი  
რაინდი ლომაია

## კონფერენციის ჟიური

### მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება

ემზარ ჯულაყიძე - პროფესორი - თავმჯდომარე  
გიორგი ფოფხაძე - პროფესორი  
თენგიზ კუპრაშვილი - პროფესორი  
მეგი გორგასლიძე - პროფესორი  
მელანო კარანაძე - იურისტი

### მიმართულება - ჯანდაცვა

დალი ქობულაძე - თავმჯდომარე  
ნანა ჯულაყიძე - პროფესორი  
ნინო აბულაძე - პროფესორი  
ქეთევან გაბუნია - პროფესორი  
ეკატერინე ჯავახია - პედაგოგი

### კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

რაინდი ლომია - პროფესორი, კოლეჯის დირექტორი  
ნუნუ გეგუჩაძე - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური  
ფატი ბაბუნაშვილი - სასწავლო ნაწილი  
ლელა ბოკუჩავა - ადამიანური რესურსების მართვის სამსახური  
თენგიზ კუპრაშვილი - პროფესორი - ბიზნესის ადმინისტრირების  
სექციის ხელმძღვანელი  
დალი ქობულაძე - ჯანდაცვის სექციის ხელმძღვანელი  
დავით კუპრეიშვილი - პედაგოგი.

## კონფერენციის პროგრამა

კონფერენცია ჩატარდება 2014 წლის 31 მაისს.  
 მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება (აუდიტორია №5)  
 მიმართულება -ჯანდაცვა (აუდიტორია №10)  
 10<sup>00</sup> - 10<sup>30</sup> სთ რეგისტრაცია  
 10<sup>30</sup> სთ კონფერენციის გახსნა

### მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება

№	საათი	სტუდენტის გვარი, სახელი	პედაგოგის გვარი, სახელი	თემის დასახელება
1.	11 <sup>00</sup>	არძენაძე ნათია	კუპრაშვილი თენგიზი	დასავლეთის საქმიანი კულტურა
2.	11 <sup>15</sup>	კობრავა სოფიო	კუპრაშვილი თენგიზი	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა
3.	11 <sup>30</sup>	ახვლედიანი არჩილი	კუპრაშვილი თენგიზი	საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში
4.	11 <sup>45</sup>	პირტახია მარინა	ჯულაყიძე ემზარი	ეფექტური მენეჯმენტი და ლიდერობა
5.	12 <sup>00</sup>	კირცხალია თამარი	ჯულაყიძე ემზარი	დროის მართვა
6.	12 <sup>15</sup>	კვარაცხელია ირმა	ჯულაყიძე ემზარი	ნდობა-ადამიანთა მართვის თანამედროვე ფუნქცია
7.	12 <sup>30</sup>	გუმბერიძე რიტა	გორგასლიძე მეგი	თავისუფალი ეკონომიკური ზონები და საგადასახადო მანევრირება
8.	12 <sup>45</sup>	ჭითანავა მონიკა	გორგასლიძე მეგი	გადასახადების წარმოშობა და თეორიული წანამდგვრები
9.	13 <sup>00</sup>	ძიძიგური ნინო	კაშია ნინო	გარიგების ცნებისა და ფორმის საკითხი სამოქალაქო სამართალში

**სახორბალომბრივი კოლეჯი “კავკასიონი”**

10.	13 <sup>15</sup>	ცუცქირიძე სალომე	ფოფხაძე გიორგი	საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა
11.	13 <sup>30</sup>	გაბეშია ია	ფოფხაძე გიორგი	უნაღლო ანგარიშსწორების ფორმები
12.	13 <sup>45</sup>	ჩაჩუა ნინო	ფოფხაძე გიორგი	არამატერიალური აღრიცხვა
13.	14 <sup>00</sup>	აფრასიძე ნინო	ფოფხაძე გიორგი	მოთხოვნების აღრიცხვა
14.	14 <sup>15</sup>	გულორდავა თეონა	ფოფხაძე გიორგი	ძირითადი საშუალებების
15.	14 <sup>30</sup>	გვაზავა ალექსანდრე	მაისაშვილი რამაზი	კიბერსივრცე, კიბერდანაშაული და მათგან თავდაცვის მეთოდები და ხერხები
16.	14 <sup>45</sup>	ჩაჩავა ნანა	კარანაძე მელანია	ავტორთა კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ინტელექტუალური საკითხების სამართალში

**მიმართულება -ჯანდაცვა**

№	საათი	სტუდენტის გვარი, სახელი	პედაგოგის გვარი, სახელი	თემის დასახელება
1.	11 <sup>00</sup>	შავგულიძე ნათია	ნიკოლეიშვილი ლელა	ვიტამინები ჩვენს ცხოვრებაში
2.	11 <sup>15</sup>	შანიძე სალომე	ჯულაყიძე ნანა	ადამიანის ბიოლოგიური საათი
3.	11 <sup>30</sup>	მამარდაშვილი მარიეტა	ქობულაძე დალი	B ჰეპატიტი, მისი ეპიდემიოლოგია საქართველოში
4.	11 <sup>45</sup>	ტაბიძე მარიანა	აბულაძე ნინო	ფარმაცევტული განათლების საფეხურები
5.	12 <sup>00</sup>	უგრეხელიძე თამარი	სულაკაძე ცუცა	თუთიის სულფიდის და თეთრას სინთეზის ზოგიერთი ასპექტები

**სახოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”**

6.	12 <sup>15</sup>	ლომიძე ნათია	სულაბერიძე მათია	პოლიმერები ფარმაციაში
7.	12 <sup>30</sup>	ხელაძე ლინდა	სულაბერიძე მათია	მვირფასი ქვების სამკურნალო თვისებები
8.	12 <sup>45</sup>	გაგუჩაძე სოფიო	მოსეშვილი ნია	სახის კოსმეტიკური მასაჟი
9.	13 <sup>00</sup>	ჯანიაშვილი დიანა	მოსეშვილი ნია	რახიტი-მასაჟის როლი რახიტის მკურნალობის დროს
10.	13 <sup>15</sup>	პაპავა მირანდა	მოსეშვილი ნია	სქოლიოზი-მასაჟის როლი სქოლიოზის მკურნალობის დროს
11.	13 <sup>30</sup>	გაბუნია ნაზი	ჩხაიძე თამარი	Addiction-დამოკიდებულება
12.	13 <sup>45</sup>	დეისაძე მაკა	მარგველაშვილი ედიშერი	რა არის ანტიოქსიდანტი?
13.	14 <sup>00</sup>	ახობაძე როზა	ვილაძე ანა	წარმატების საიდუმლოება
14.	14 <sup>15</sup>	სამარგულიანი ფიქრია	ჯავახია ეკატერინე	დეროვანი უჯრედები-ახალი ერა მედიცინაში
15.	14 <sup>30</sup>	ჩახუნაშვილი თეონა	სოფრომაძე ანა	ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები
16.	14 <sup>45</sup>	გურუშიძე ნათია	სირაძე ხათუნა	ინფექციური ენდოკარდიტი
17.	15 <sup>00</sup>	გაბადაძე სოფიო	გაბუნია ქეთევანი	არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები
18.	15 <sup>15</sup>	ცომია სალომე	გიორგიძე გოჩა	როგორ ვასწავლოთ უკეთ

## მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება

### თემა: დასავლეთის საქმიანი კულტურა

სპეციალობა: ოფისის-მენეჯერი IIIსაფეხურის

სტუდენტი: არძენაძე ნათია

ხელმძღვანელი: პროფ. კუპრაშვილი თენგიზი

მენეჯმენტის მეცნიერებაში ეთიკის ორი ძირითადი სახე არსებობს: „პროფესიული ეთიკა“ და „საქმიანი ეთიკა“. „პროფესიული ეთიკაში“ საუბარია მენეჯერის ქცევის შესახებ, იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც წაეყენება მისი მუშაობის სტილს, ადამიანებთან მიმართვის ხასიათს, სოციალური საკითხების გადაწყვეტას და ა. შ. ხოლო „საქმიანი ეთიკა“ – ეს უპირველეს ყოვლისა არის პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმართვის ეთიკა; დოკუმენტწარმოების ეთიკა; კონკურენციის ეთიკური ნორმების დაცვა და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში საქმიანი კულტურის სხვადასხვა განმარტება არსებობს. მაგ: „საქმიანი კულტურა“ ესაა მსოფმხედველობაში გამყარებული სტერეოტიპი განწყობა ყოფაქცევის მათრიცა, დამოკიდებული წესები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს სფეროში.

„საქმიანი კულტურა ესაა მეწარმეობის ადმინისტრირების და ფირმის კორპორაციული კულტურის ერთობლივობა“.

ჩვენი აზრით საქმიანი კულტურა არ შეიძლება იყოს დაყვანილი ფირმის კორპორაციულ კულტურაზე. აგრეთვე არაა გამართლებული საქმიანი კულტურის დაყვანა სტერეოტიპამდე. საქმიანი კულტურა მუდამ იცვლება და ვითარდება ამიტომ ჩვენი აზრით საქმიანი კულტურა ესაა სულიერი ღირებულებების ზნეობრივი პრინციპი, კანონები ტრადიციებისა და ნორმების ერთობლივობა, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ მახასიათებელზე, რის მეშვეობითაც რეგულირდება ადამიანის ქცევა და მოქმედებები ბიზნეს სფეროში. თემაში განხილულია, დასავლეთის წარმატებული ქვეყნების საქმიანი ურთიერთობის კულტურა.



**თემა: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა**

სპეციალობა: ოფისის-მენეჯერი III საფეხური

სტუდენტი: კობრავა სოფიო

ხელმძღვანელი: პროფესორი, კუპრაშვილი თენგიზი.

მრავალი ბიზნესმენი თვლის, რომ მათი სოციალური პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ პატიოსნად იხადონ გადასახადები, უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლებისათვის კარგი ხელფასები და სამუშაო ადგილები. ისინი თვლიან, რომ საზოგადოების განვითარება სწორედ სამუშაო ადგილების შექმნითა და გადასახადების გადახდით ხდება. სახელმწიფოს ფუნქციაა მათი სწორი განაწილება.

დღესდღეობით ბევრი წარმატებული კომპანია განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს დაინტერესებულ მხარეს. ამ კომპანიების საქმიანობას მზარდი კორპორაციული პასუხისმგებლობის გათვალისწინების კუთხით საგრძნობი წვლილი შეაქვს ამავე კომპანიების გრძელვადიან, ფინანსურ სიცოცხლის უნარიანობაში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი საზოგადოების და მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია შემდეგ საკითხებს მოიცავს:

ა) სამუშაო გარემო ადამიანის უფლებები - რამდენად შეესაბამება სამუშაო გარემო შრომის კანონმდებლობას, არის თუ არა საკონტრაქტო სისტემა, დაცულია თუ არა ადამიანის უფლებები.

ბ) დასაქმებულთა სოციალური დაცულობის დონე - სიცოცხლის, ჯამრთელობის დაცვის, საპენსიო უზრუნველყოფა, არსებული ადამიანური რესურსების განათლება და განვითარება

გ) გარემოს დაცვა - რამდენად ხორციელდება არსებული გარემოს კვლევა, გარემოს დაცვითი, რეციკლირების პროგრამების დაფინანსება.

დ) მოსახლეობასთან ურთიერთობა სოციალური პროექტები - კერძო, სათემო, მუნიციპალური, ან სამთავრობო. აქ მოიაზრება ფინანსური, პროდუქტებით, მომსახურებით, ტექნიკით, მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება შემდეგ სფეროებში: განათლების, სპორტის, კულტურის და სხვა.

**თემა: საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება  
საქართველოში**

სპეციალობა: მოლარე (ბანკის და ა. შ. ) III საფეხური

სტუდენტი: ახვლედიანი არჩილი

ხელმძღვანელი: პროფესორი, კუპრაშვილი თენგიზი

თანამედროვე ცხოვრების სხვა რამოდენიმე წინ წამოწეული ეკონომიკური საკითხებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბანკო საქმიანობაა, რომლის ინტერესშიც შედის საზოგადოებისათვის მოქნილი, კომფორტული და ხელმისაწვდომი მომსახურება გასწიოს რა თქმა უნდა მოგების მიღების მიზნით ისევე, როგორც ეს ყველა საწარმოსთვის არის დამახასიათებელი. იგი ასევე ზრუნავს საკუთარ კოლეგებსა და მისი ქონების საბოლოო ბენეფიციარების ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ბანკსა და ჩვეულებრივ ტიპიურ სავაჭრო ორგანიზაციებს შორის მსგავსება დიდია, მაგრამ რაც ბანკის ვაჭრობის საგანია ასე მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპისათვის. ეს არის დასაბამიდან დღემდე არსებული ყველაზე სწრაფად ლიკვიდური აქტივი ფული.

ადამიანის მიზანსწრაფულობიდან გამომდინარე საბანკო საქმიანობას აქტუალობა არასოდეს დაუკარგავს, მაგრამ დღეს როცა ცხოვრების განვითარების დონე და შესაძლებლობა ასე ძალიან დაუმეგობრდა ერთმანეთს, საბანკო სფერო განსაკუთრებით პოპულარული გახდა.

თემაში განხილულია, საქართველოში საბანკო სისტემის წარმოშობის ისტორია, დასაბამიდან დღემდე. შუა საუკუნეებიდან XXI საუკუნის გარიჟრაჟამდე.

**თემა: ეფექტური მენეჯმენტი და ლიდერობა**

სპეციალობა: მცირე ბიზნესი IV საფეხური

სტუდენტი: პირტახია მარინა

ხელმძღვანელი: პროფესორი, ჯულაყიძე ემზარი.

თანამედროვე ორგანიზაცია, ამ ცვალებად სამყაროში, ვერ იქნება წარმატებული, თუკი მათ არ ეყოლებათ ისეთი გენერალური მენეჯერი, რომელიც ერთდროულად შეძლებს ლიდერობისა და ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფას. თუ ადრე შესაძლებელი იყო, დაგვეშვა განსხვავებები ლიდერობასა და მენეჯმენტს შორის, თანამედროვე ეტაპზე ეს უკვე შეუძლებელია. მენეჯერები ვერ იქნებიან წარმატებულნი, თუ კი არ იქნებიან კარგი ლიდერები და პირიქით, ლიდერები ვერ იქნებიან წარმატებულნი თავიანთ საქმიანობაში, თუ არ იქნებიან კარგი მენეჯერები.

მენეჯმენტის საფუძვლებიდან, ჩვენთვის ცნობილია, რომ წარმატების მიღწევის მსურველი, მომავალი სამეურნეო ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს მინიმუმ ექვს პირველად თვისებას მაინც, როგორცაა: წარმოსახვის უნარი; ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა; გუნდის მართვის უნარი; გამბედაობა; დაუნდობლობა და მიმზიდველობა. თუმცა, დღეს მენეჯერებს, ბიზნესის წარმატებული მართვის საქმეში, ლიდერის უნარ-ჩვევებიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ შემდეგი თვისებები მაინც, როგორცაა: სწრაფი აზროვნება; მიზანდასახულობა და მასზე კონცენტრირება; საკუთარი შესაძლებლობების სწორი გათვლის უნარი; ადამიანური ურთიერთობების ხელოვნება.

**თემა: დროის მართვა**

სპეციალობა: მცირე ბიზნესი IV საფეხური

სტუდენტი: კირცხალია თამარი

ხელმძღვანელი: პროფესორი, ჯულაყიძე ემზარი.

დროის მართვა, როგორც ცალკე პიროვნების, ისე ორგანიზაციისათვის წარმატებული საქმიანობისა და დასახული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი იარაღია. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დრო განსაკუთრებული ფენომენია. დრო შეუქცევადია, მას ვერ დავაგროვებთ, ვერ შევინახავთ, ვერ გავამრავლებთ, ვერ შევაჩერებთ, ვერ გადავცემთ. დრო მხოლოდ მიდის, მას უკან ვერასოდეს დავაბრუნებთ. სწორედ ამიტომ უნდა დროს განსაკუთრებული ყურადღება და ფაქიზი დამოკიდებულება, ყოველმხრივ გათვლილი დაგეგმვა და მართვა.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ დროის მართვის მნიშვნელობისა და მისი რაციონალიზების საკითხებში, სასურველია ჩვენს შესასრულებელი სამუშაოები დავყოთ მისი მნიშვნელობისა და სისწრაფის მიხედვით. სასწრაფო სამუშაოები ისეთებია, რომლებიც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვენ. ანუ, ფაქტიურად ახლავე. ხოლო, მნიშვნელოვანი კი ის საქმეებია, რომლებიც ჩვენს სტრატეგიას, ფასეულობებს და პრიორიტეტულ მიზნებს უკავშირდება.

სამწუხაროდ, ძალზე ბევრ ორგანიზაციაში ხელმძღვანელები ბევრ დროს ხარჯავს ოპერატიული პრობლემების გადაწყვეტაზე. ხოლო ის, რაც კარგა ხნით ადრე უნდა გაგვეკეთებინა და იმის გამო, რომ არ გავაკეთეთ, დღეს იგი ოპერატიულად გადასაწყვეტი გახდა. დღეს კი, როცა დიდ დროს ვანდომებთ ამ ოპერატიულ ამოცანათა გადაწყვეტას და არ ვფიქრობთ პერსპექტიულ პრობლემებზე, მოვა დრო, როცა ისინიც ოპერატიულად გადასაწყვეტი ხდება. ასე იკვრება შრომის ცული ორგანიზაციის გამო ნაკლოვანებათა წრე, თანდათან ჩვევად იქცევა მუშაობის მანკიერი სტილი.

**თემა: ნდობა- ადამიანთა მართვის თანამედროვე ფუნქცია**

სპეციალობა: მცირე ბიზნესი IV საფეხური

სტუდენტი: კვარაცხელია ირმა

ხელმძღვანელი: პროფესორი, ჯულაყიძე ემზარი.

თანამედროვე მენეჯმენტიც უნდა დაეყრდნოს უპირატესად ნდობის პრინციპს, ვინაიდან მკაცრი ადმინისტრირება (შიშზე დაფუძნებული მენეჯმენტი) ზღუდავს ინიციატივას და აღვივებს უნდობლობას, რაც მართვაში ხელს უშლის შემოქმედებითობის განვითარებას და ხელქვეითთა მიერ დამოუკიდებელი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომ უნდა ამაღლდეს ორმხრივი ნდობა (ხელმძღვანელის ხელქვეითის მიმართ და პირიქით), რაც შეამცირებს შიშის გავლენას, როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე მისი აღსრულების პროცესშიც.

ნდობის, როგორც მენეჯმენტის თანამედროვე ფუნქციის იგნორირების შედეგია ის, რომ ჩვენი ორგანიზაციების უმეტესობა შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ასევე მაგალითად სპორტშიც. საქმე იმაშია, რომ ფეხბურთის კარგი გუნდი არ ნიშნავს მხოლოდ კარგ ფეხბურთელებისგან შემდგარ ნაკრებს. გუნდის თითოეული წევრის მიზანია, თუ რამდენად ძლიერი იქნება ის უშუალოდ გუნდში, რადგან მათი პოპულარობა და წარმატება მხოლოდ გუნდის წარმატებებს უკავშირდება. ბუნებრივია, აქ უკვე თავს იჩენს გუნდის მენეჯმენტის პრობლემა, ანუ რამდენად კარგად იმართება გუნდი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი პირადი წარმატების მიღწევა შეუძლებელი ხდება.

**თემა: თავისუფალი ეკონომიკური ზონები და საგადასახადო  
მანევრირება**

სპეციალობა: ბულალტერია III საფეხური

სტუდენტი: გუმბერიძე რიტა

ხელმძღვანელი: პროფესორი, მეგი გორგასლიძე

გადასახადების წარმოშობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ისინი შემოღებული იქნა ჯერ კიდევ საზოგადოებრივი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, როგორც კი გაჩნდა მათზე პირველი საზოგადოებრივი მოთხოვნილება.

გადასახადების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლების მუდმივი კლევისა და ყურადღების საგანი იყო. გადასახადების თეორიული ასპექტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში მერკანტილიზმის პერიოდიდან.

VII საუკუნის II ნახევრისათვის გადასახადების თეორიაში გამოჩნდა მნიშვნელოვანი მკვლევარი უილიამ პეტი, რომელმაც სწორი მიმართულება მისცა კვლევებს საგადასახადო სისტემის შესახებ და დაასაბუთა მისი გავლენის მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციონირებაში. ასევე აღსანიშნავია ფრანსუა კენე, ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო, ჯონ მეინარდ კეინზი, პ. სამუელსონი, მ. ფრიდმენი, ა. ლაფერი, რომლებმაც სათანადო წვლილი შეიტანეს გადასახადების თეორიულ კვლევებში.

**თემა: გადასახადების წარმოშობა და თეორიული წანამძღვრები**

სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური

სტუდენტი: ჭითანავა მონიკა

ხელმძღვანელი: პროფესორი, მეგი გორგასლიძე

თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების ჩარევაში შეზღუდვის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ინსტრუმენტი, ანუ ეს არის ეროვნული ეკონომიკური სივრცის ნაწილი, სადაც შემოღებულია და გამოიყენება დაბეგრის ისეთი შეღავათებისა და სტიმულების სისტემა, რომელიც არ გამოიყენება მის სხვა ნაწილებში.

დღეისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ეკონომიკურად განვითარებული, ისე განვითარებად ქვეყნებში. სხვადასხვა ქვეყნების თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი პრეფერენციული საკრედიტო-საგადასახადო რეჟიმი არაერთგვაროვანია, რაც იწვევს განსხვავებულ საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში. ასეთებია: საგარეო სავაჭრო შეღავათები ფისკალური შეღავათები, საფინანსო შეღავათები, ადმინისტრაციული შეღავათები. ასეთ ზონებში კომპანიები თავისუფალდებიან ადგილობრივი გადასახადის გადახდისაგან, რაც დადებითად აისახება მათ ფინანსურ შედეგებზე.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარების ტემპებზე, ეკონომიკის ზრდაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

**თემა: გარიგების ცნებისა და ფორმის საკითხი სამოქალაქო  
სამართალში**

სპეციალობა: ოფისის მენეჯერი III საფეხური

სტუდენტი: ნინო ძიმიგური

ხელმძღვანელი: ნინო კაშია

„გარიგება“ გერმანული წარმოშობის სიტყვაა. მას ორიგინალ ენაზე ეწოდება „სამართლებრივი საქმე“. იგი პირველად მოხსენიებულ იყო 1791 წელს წიგნში „მთელი დღევანდელი ცივილური სამართლის სისტემა“.

გარიგება არის ორი სახის- ცალმხრივი და მრავალმხრივი. ცალმხრივია გარიგება რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა. იმის გამო რომ ამ ტიპის გარიგებების დროს სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა დამოკიდებულია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენაზე.

იმისათვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს, საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა კანონით არ არის დაწესებული მაშინ მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად ისე წერილობით. გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დამოწმოს ნოტარიუსმა ან სხვა პირმა.

თუ გარიგების ფორმა კანონით ან მხარეთა შეთანხმებით არის გათვალისწინებული, ამ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილად ჩაითვლება.

გარიგება მიიჩნევა ბათილად თუ მას არ მოყვება დასახული მიზანი. იმის გამო რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს.

ბათილია გარიგება რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობრივ ნორმებს.

ბათილია მცირეწლოვნის მიერ ან სასამართლოს მიერ ქმედდულნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკრვევის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროსაც.



**თემა: საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა**

სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური

სტუდენტი: სალომე ცუცქირიძე

ხელმძღვანელი: პროფესორი, გიორგი ფოფხაძე

კაპიტალი ფართო გაგებით არის საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის შექმნილი რესურსები, რომელსაც შემოსავლის მოტანა შეუძლია. სხვაგვარად, იგი არის წარმოებრივი საშუალებების სახით საქმეში დაბანდებული შემოსავლის მომტანი წყარო. ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით, კაპიტალი, თავისი ფიზიკური ფორმით, აქტივებად წარმოგვიდგება. საწარმოში აქტივების ფორმირების შედეგად წარმოიქმნება ამ აქტივებზე სხვადასხვა სუბიექტების, იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებები, რომელთა ჯამიც კაპიტალს წარმოადგენს. ასეთი უფლებები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: კრედიტორების წინაშე ვალდებულებებად, რომელიც ნასესხებ ანუ მიზიდულ კაპიტალად არის ცნობილი და მფლობელების წილად, რომელიც საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს. საკუთარი კაპიტალი სპეციფიკური სახით ვალდებულებათა მფლობელთა წინაშე, რომელიც ძირითადად აკავშირებს მფლობელებისა და ბიზნესის ურთიერთობებს. ფინანსური ანგარიშგების კუთხით საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ, ხოლო მისი სტრუქტურა დამოკიდებულია სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ თემაში განხილულია რამოდენიმე მაგალითი, რომლის საშუალებით მოკლე სპექტრში შევეცადე ამესახა საკუთარი კაპიტალის მთავარი პრინციპები და მიმართულებები ბუღალტრულ აღრიცხვაში, რომლებიც ძირითადად ხშირად გვხვდება პრაქტიკის სფეროში.

**თემა: უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები**

სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური

სტუდენტი: ია გაბეშია

ხელმძღვანელი: პროფესორი, გიორგი ფოფხაძე

ეკონომიკური ურთიერთობების დროს საწარმოების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ურთიერთანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ფორმით. ანგარიშსწორებათა საერთო მოცულობაში ნაღდი ანგარიშსწორება შედარებით უმნიშვნელოა, ძირითადად ყოველივე ეს ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ანგარიშსწორების საქართველოს საბანკო სისტემა ახორციელებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ეს წესები ერთნაირად ვრცელდება ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

წარმოდგენილ თემაში განხილულია ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები, თუ რა დანიშნულება აქვთ მათ და როდის უნდა იქნან გამოყენებული და ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე რომელი ფორმით.

საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობებში უნაღდო ანგარიშსწორებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ანგარიშსწორების უნაღდო წესით წარმოება მიზანშეწონილია და მისაღებია როგორც საწარმოებისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის, რომლებიც თავს უყრიან საწარმოთა თავისუფალ ფულად საშუალებების დიდ ნაწილს, რომლებიც ჩართულნი არიან ბრუნვაში, რაც საბოლოოდ ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ეფექტიანი ეკონომიკური ურთიერთობებისა.

**თემა: არამატერიალური აღრიცხვა**

სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური

სტუდენტი: ნინო ჩაჩუა

ხელმძღვანელი: პროფესორი, გიორგი ფოფხაძე

არამატერიალური აქტივები გრძელვადიანი აქტივების ერთ-ერთი სახეა. მას მიეკუთვნება საშუალებები, რომელთაც მატერიალური, ნივთიერი, ხელშესახები ფორმა არ გააჩნიათ, მაგრამ საწარმოსათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლიათ. არამატერიალური აქტივებისაგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოიცავდეს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან ამონაგებს, ხარჯების ეკონომიას ან საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების შედეგად მიღებულ რაიმე სხვა სარგებელს. ზემოთაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე ძნელდება არამატერიალური აქტივების ღირებულების შეფასება, ხოლო მათი სასარგებლო გამოყენების ვადა ხშირად განსაზღვრას არ ექვემდებარება. გამომდინარე აქედან, ძნელია არამატერიალური აქტივების გამოყენებით მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის დადგენა.

ბასს-ის მიხედვით „საწარმო“ აკონტროლებს არამატერიალურ აქტივს, თუ მას გააჩნია რესურსების მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება, მას შეუძლია ასევე შეზღუდოს ამ სარგებლის სხვების მიერ მიღების უფლება და ა. შ. ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მაგალითები აქტივების შეძენაზე, მის რეალიზაციაზე. ასევე გუდვილზე, რომელიც ფართოდ გავრცელებული ტერმინია, იგი ძირითადად საწარმოს ფასს, მის რეპუტაციას ნიშნავს. არამატერიალური აქტივების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს საწარმოს მომავალი ეკონომიკური განვითარების საქმეში, რაც ესოდენ დიდ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**თემა: მოთხოვნების აღრიცხვა**

სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური

სტუდენტი: ნინო აფრასიძე

ხელმძღვანელი: პროფ. გიორგი ფოფხაძე

საწარმოს ციკლი მოიცავს დროის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება წარმოებისათვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნით და მთავრდება მზა პროდუქციის (საქონლის, სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციით.

მოთხოვნა, როგორც აქტივი, ბასს-ის მიხედვით ჩაითვლება მიმდინარე მოთხოვნად, თუ მოსალოდნელია მისი დაფარვა ბალანსის შედგენის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ყველა სხვა მოთხოვნა გრძელვადიან მოთხოვნას წარმოადგენს.

დარიცხვის მეთოდისა და რეალიზაციის პრინციპის მიხედვით, მიწოდების მომენტისათვის გადაუხდელი თანხები აღიარებული უნდა იქნეს ერთის მხრივ, მოთხოვნად ანუ დებიტორულ დავალიანებად და მეორეს მხრივ, შემოსავლად, ხოლო წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე, მოთხოვნების ბალანსი აისახება მიწოდების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით, ანუ უიმედო ვალების, აგრეთვე უკანდაბრუნებისა და ფასდათმობების გამოკლებით, ზოგიერთი მოთხოვნა, წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება გადახდილი ავანსები, ბალანსში აისახება თვითღირებულებით. გრძელვადიანი და მიმდინარე მოთხოვნების ცალ-ცალკე კლასიფიცირება და ბალანსში ასახვა სასარგებლოა იმით, რომ ცალკე გამოიყოს ნეტო აქტივები, რომლებიც მუდმივად იმყოფება მიმოქცევის პროცესში საბრუნავი კაპიტალის სახით, იმ ნეტო აქტივებისაგან, რომელსაც იგი იყენებს გრძელვადიანი საქმიანობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩემს მიერ წარმოდგენილ თემაში განხილული მაქვს პრაქტიკული ამოცანები და მაგალითები, სადაც მოკლედ ასახულია ძირითადი საფინანსო-სამეურნეო ოპერაციები შესაბამისი ბუღალტრული გატარებებით.

**თემა: ძირითადი საშუალებების აღრიცხვა**

სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური

სტუდენტი: თეონა გულორდავა

ხელმძღვანელი: პროფესორი, გიორგი ფოფხაძე

ძირითადი საშუალებები საწარმოს მფლობელობაში არსებული გრძელვადიანი მატერიალური აქტივებია, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში საქონლის, ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები საწარმოს აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ მათზე გაწეული დანახარჯების აღიარებამ და აღრიცხვამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საწარმოს საქმიანობის შედეგებზე, აქედან გამომდინარე, ძირითადი საშუალებების ასახვას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დახასიათებისათვის. საერთაშორისო სტანდარტებით ძირითადი საშუალებების აღრიცხვა რეგულირდება „ბასს-16“-ით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სხვა საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს ან უშვებს ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებულ მიდგომას.

ძირითადი საშუალებების სწორი აღრიცხვისა და მათზე კონტროლის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ კლასიფიკაციას. ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს:

- ა) გამოყენების სფეროების მიხედვით;
- ბ) დარგობრივი ნიშნით;
- გ) ნივთობრივ-ნატურალური ნიშნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩემს მიერ წარმოდგენილ თემაში განხილული მაქვს პრაქტიკული მაგალითები. ძირითადი საშუალებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოს განვითარების თვალსაზრისით, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კვლავწარმოების პროცესში, რაც საბოლოოდ საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებზე აისახება.

**თემა: კიბერსივრცე, კიბერდანაშაული და მათგან თავდაცვის  
მეთოდები და ხერხები**

სპეციალობა: ინფორმაციული ტექნოლოგი III საფეხური

სტუდენტი: ალექსანდრე გვაზავა

ხელმძღვანელი: რამაზი მასისაშვილი

ჩვენს ეპოქაში სულ უფრო მეტად ვხდებით დამოკიდებული მანქანებზე. ვირტუალური (კიბერსივრცე) სულ უფრო მეტად შემოდის ჩვენ სამყაროში, მეტად ვხდებით დამოკიდებული მასზე, ის ემსგავსება რეალურს და ძნელად გასარჩევი ხდება მისგან. ტექნოლოგიები ცვლიან ჩვენში აქამდე არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს და რაც მთავარია რეალური სამყარო. ეს ვირტუალური რეალობაა, კიდევ ერთი განზომილება რომელშიც ჩვენ ყოველდღე ვმოგზაურობთ.

რა არის ვირტუალური, კიბერ სამყარო. კარგია თუ ცუდი? ამ თემაზე ბევრი საუბრობს : მეცნიერები, ფილოსოფოსები და უკვე პოლიტიკოსებიც კი. ეს ინდივიდუალურია, პიროვნების ხედვიდან გამომდინარე. ერთი რამ კი ნათელია, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ჩვენ გაცილებით მეტი შესაძლებლობები გვაქვს, რაც თავისთავად უფრო მეტად გვიტაცებს, უფრო მეტი გვსურს.

გარდა იმისა რომ კომპიუტერი ჩვენი ყოველდღიური მოხმარების საგანია, მასზე ასევეა დამოკიდებული დიდი კომპანიებისა და სახელმწიფოების ინფრასტრუქტურაც. სწორედ ასეთ გარემოში, როდესაც ცხოვრება წარმოუდგენელია კომპიუტერის გარეშე და ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა, ჩვენი ყველაზე საშიში მტრები შეიძლება აღმოჩნდნენ „ჰაკერები“. საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ ცნობილი მიზეზების გამო წამოიწია პირველ პლანზე.

წინამდებარე თემაში განხილულია: ვინ არიან „ჰაკერები“. საშიშია ჩვენთვის მათი მოქმედებები. როგორ დავიცვათ თავი მათგან.

ეს ის თემაა რომელიც დღის წესრიგში დადგა კომპიუტერული ტექნოლოგიების და ქსელების განვითარებასთან ერთად.

**თემა: ავტორთა კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ინტელექტუალური საკითხების სამართალში**

სპეციალობა: მცირე ბიზნესი IV საფეხური

სტუდენტი: ნანა ჩაჩავა

ხელმძღვანელი: მელანია კარანაძე

ნაშრომი ეხება კერძო სამართლის, კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორცაა საავტორო და სამრეწველო საკუთრების სამართალი. ავტორთა უფლებების დაცვა და ამ უფლებათა გზაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოს საქმიანობის ანალიზი ნაშრომის ძირითად თემატიკას მოიცავს კერძოდ, იმას, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა ავტორებმა კანონით მათზე მინიჭებული უფლებები, ხოლო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტომ როგორ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებათა დაცვა. საზოგადოებაში მეტად მწირია ინფორმაცია საკუთრების ამ განსაკუთრებულ ობიექტთა დაცვისა და გამოყენების თაობაზე, ვფიქრობთ, ნაშრომი დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს.

## მიმართულება -ჯანდაცვა

### თემა: ვიტამინები ჩვენს ცხოვრებაში

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური

სტუდენტი: შავგულიძე ნათია

ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა ნიკოლეიშვილი

ვიტამინები ცოცხალი ორგანიზმისთვის აუცილებელი კომპონენტია. ვიტამინები ორგანული მოლეკულებია, რომლებიც ფუნქციონირებენ ორგანიზმის შიგნით ენერჯის დიდი დიაპაზონით. ორგანიზმში ისინი მონაწილეობენ ფერმენტულ რეაქციებში კოფერმენტების სახით. ტერმინი-ვიტამინი წარმოიშვა სიტყვიდან „ვიტა“ – რაც ლათინურად სიცოცხლეს ნიშნავს. ვიტამინების განმასხვავებელი თვისებაა ის რომ, საერთოდ არ სინთეზირდებიან ორგანიზმის მიერ, შესაბამისად უნდა მივიღოთ საკვებთან ერთად. განასხვავებენ წყალში ხსნად და ცხიმში ხსნად ვიტამინების. ვიტამინების უკმარისობა იწვევს ისეთ დაავადებებს როგორცაა: „პელაგრა“, „ცინგა“, „რაქიტი“, მეგაბლასტური ანემია და ა. შ. ავიტამინოზის თავიდან ასაცილებლად და ზოგიერთი დაავადების პრევენციისთვის აუცილებელია ბალანსირებული ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება.



**თემა: ადამიანის ბიოლოგიური საათი**

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური

სტუდენტი: შანიძე სალომე

ხელმძღვანელი: პროფესორი, ნანა ჯულაყიძე

ბუნების უმეტესი მოვლენები, მათ შორის ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე მოვლენები შეიცავენ უხილავ რითმებს. დღე-ღამეში დედამიწის ყოველი შემობრუნება თავისი ღერძის გარშემო, იწვევს დღისა და ღამის რითმულ ცვლას, რითმულად იცვლებიან წელიწადის დროები, ელექტრომაგნიტური ველები, ჰაერის წნევა და სხვა.

ბიოლოგიური დროის მნიშვნელოვანი თვისებაა მისი რითმულობა. დრო არათანაბრად მიმდინარეობს ერთსა და იმავე ორგანიზმში, რაც დამოკიდებულია ასაკზე, გარეგანი და შინაგანი გარემოს პირობებზე. მაგალითად, ჭრილობები ახალგაზრდებში უფრო სწრაფად ხორცდება, შეხორცების სიჩქარე კი ასაკთან ერთად მცირდება. ერთნაირი ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად, სხვადასხვა ასაკში ადამიანს ესაჭიროება ფიზიკური დროის სხვადასხვა რაოდენობა. დაბერებულ ორგანიზმში ფიზიკური დრო უფრო სწრაფად გადის ახალგაზრდა ორგანიზმთან შედარებით.

ადამიანები და ცხოველები, თევზები და მოლუსკები იცავენ დღე-ღამურ ცირკადულ (ჩირკე-ასლი, დიან-დღე) რითმს – ძილისა და ღვიძილის აქტიურობისა და დასვენების მონაცვლეობას. ყველა ცხოველი სპილოდან – პეკლამდე ისვენებს 24 საათში ერთხელ.

ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მაჩვენებლების დიდი ნაწილი – სხეულისა და სისხლის წნევა, პულსის და სუნთქვის სიხშირე, ფიზიოლოგიური სინჯების შედეგები, სისხლში შაქრის დონე, სხვადასხვა ამინომჟავების, ცილების შემცველობა, სისხლის ელემენტები და ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც შესწავლილია, იცვლება ცირკადულად. თუმცა, გარეგნულად ადამიანი თითქმის მთელი დღის განმავლობაში ერთნაირია. იგი უბრალოდ თავს სხვადასხვანაირად გრძნობს დღე-ღამის სხვადასხვა საათში. იცვლება მისი ხასიათი. სხვადასხვა დაავადების სიმპტომები ხშირად ვლინდება დღე-ღამის გარკვეულ საათზე, ადამიანის დაბადებაც უფრო ხშირად ღამით, ან დილით ადრე ხდება.

**თემა: B ჰეპატიტი, მისი ეპიდემიოლოგია საქართველოში**

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური

სტუდენტი: მამარდაშვილი მარიეტა

ხელმძღვანელი: დალი ქობულაძე

ვირუსული ჰეპატიტები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემაა შემთხვევათა პროგრესული ზრდის და ხშირად დაავადების არასასურველი გამოსავლის გამო. მსოფლიოში დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი B ჰეპატიტის გამომწვევის (HBV) მინიმუმ ერთ-ერთი მარკერის მტარებელია, 500 მილიონი ადამიანი კი ქრონიკული ფორმითაა ავად. ეს მონაცემები მეცნიერთა ვარაუდით „აისბერგის ხილული ნაწილია“, ხოლო რეალურად B ჰეპატიტის გავრცელება 5-ჯერ და მეტად აჭარბებს ოფიციალურ მონაცემებს. აღნიშნული საკითხი აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვისაც.

2013 წელს აღრიცხული B ჰეპატიტის ინციდენტობა (მწვავე და ქრონიკული) 20, 7%-ით მეტია 2012 წელთან შედარებით. მატება გამოწვეულია დაავადების როგორც მწვავე, ისე ქრონიკული ფორმების ხარჯზე. მწვავე B ჰეპატიტის ინციდენტობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25, 3%-ით, ხოლო ქრონიკული B ჰეპატიტის - 22, 7%-ით.

მწვავე და ქრონიკული B ჰეპატიტის ინციდენტობა რეგიონების მიხედვით მიხედვით 2013 წელს შედარებით მაღალი იყო აჭარის, იმერეთის, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებში. როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული შემთხვევების ძირითადი ნაწილი 15-დან 60 წლამდე ასაკზე მოდის, ხოლო ასაკობრივი პიკი არის 20-29 წელი.

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში B ჰეპატიტის პრევენციის მიზნით შემდეგი ღონისძიებები ტარდება:

- 2001 წლიდან ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ბავშვთა ასაკში.
- 2007 წლის ივნისიდან საქართველოში დაიწყო აღრიცხვაზე მყოფი ყველა ორსულის გამოკვლევა HBsAg-ის გამოსავლენად და HBsAg დადებითი დედების ახალშობილების იმუნიზაცია სპეციფიკური იმუნოგლობულინით.
- „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დონორების კვლევა HbsAg-ზე.

## რეზიუმე

- B ჰეპატიტით ავადობას საქართველოში ახასიათებს მატების ტენდენცია
- მნიშვნელოვანი პრობლემაა მისი გავრცელების შესახებ ინფორმაციის დეფიციტი. აღნიშნული ინფორმაცია დაავადების გავრცელების რეალური მასშტაბების დადგენის და ეფექტური პრევენციული თუ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავების საშუალებას არსებითად გაზრდის. ამჟამად სამუშაო პროცესშია პარენტერალური ჰეპატიტების ეპიდზოდამხედველობის პროგრამის პროექტი.
- მნიშვნელოვანია გარკვეული რისკ ჯგუფების, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ვაქცინაცია.
- B ჰეპატიტის გავრცელების შემცირებას ვერტიკალური, ჰემოტრანსფუზიის და სხვა სამედიცინო მანიპულაციების გზით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანაში მოქმედი ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამები („ანტენატალური მეთვალყურეობა“, „უსაფრთხო სისხლი“).
- იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შედეგად უკანასკნელ წლებში 5 წლამდე ასაკის ბავშვებში B ჰეპატიტის ავადობის მაჩვენებელი ნულამდეა შემცირებული.

**თემა: ფარმაცევტული განათლების საფეხურები**

სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე

სტუდენტი: მარიანა ტაბიძე

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო აბულაძე

ფარმაცევტული საქმის განვითარებაში საქართველო არასდროს ჩამორჩებოდა მსოფლიო ცივილიზაციას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქუთაისსა და მთელს საქართველოში იხსნებოდა აფთიაქები, რომლებიც აღჭურვილობით დღევანდელი აფთიაქის წინამორბედების იყვნენ, მაგრამ საქართველოში ფარმაცევტული განათლების მისაღები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები არ იყო. შესაბამისად, პირველ ხანებში საქართველოს აფთიაქები კომპლექტდებოდნენ არაქართველი კადრებით, რომელთაც განათლება პოლონეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინასა და რუსეთში ჰქონდათ მიღებული.

მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნით 1918 წ. ჩაეყარა საფუძველი ფარმაცევტული კადრების მომზადების ყველა ეტაპს. იქ გახსნილი ფარმაციის სპეციალობა ჯერ ცალკე გამოეყო ინტიტუტის სახით, შემდეგ იგი გახდა სამედიცინო ინტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.

დღეს საქართველოში მრავალი აკრედიტებული საბაკალავრო, რამდენიმე სამაგისტრო და მეხუთე საფეხურის ფარმაცევტული პროგრამა მოქმედებს, საქართველოს განათლების სისტემა ვითარდება ბოლონიის კონვენციასთან ერთად. სახელმწიფოს მხრიდან ფარმაცია არარეგულირებადი პროფესიაა; შესაბამისად, ფარმაცევტული განათლების სპეციალისტების სახელმწიფო სერთიფიკაცია ხდება. ეს უარყოფითად აისახება დარგის პრესტიჟსა და მის ძირითად მომხმარებელზე – პაციენტზე.

ფარმაცევტული საქმიანობა არის სოციალურად ორიენტირებული, მაღალი რისკის, საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი დარგი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან. ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ფარმაციას თვლის რეგულირებად პროფესიად და ეს მომენტი აუცილებელია გამოყენებულ იქნას ფარმაცევტული განათლების, მათ შორის, დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი განათლების სისტემის მოწყობაშიც.

**თემა: თუთიის სულფიდის და თეთრას სინთეზის ზოგიერთი ასპექტები**

სპეციალობა: ფარმაცევტის თანამემწე

სტუდენტი: თამარ უგრეხელიძე

ხელმძღვანელი: პროფესორი, ცუცა სულაკაძე

საწყის რეაგენტებს წარმოადგენს ბარიუმისა და ამონიუმის სულფიდები, თუთიისა და ამონიუმის სულფატები და ამიაკის წყალხსნარი. სულფიდური ხსნარების ქიმიური შედგენილობა ცვალებადია დროში. ყოველივე ამის გამო სულფიდური ხსნარები და ყველა გამოყენებული რეაგენტები მზადდებოდა ექსპერიმენტის წინ.

თუთიის სულფიდის სინთეზი ხორციელდება ნახევრად უწყვეტი მეთოდით ავტომატური ბიურეტ-დოზატორებით, რომელთა მეშვეობითაც ზუსტად და ნებისმიერი მოცულობითი თანაფარდობით ხდება საწყისი რეაგენტების ხსნარების მიწოდება რეაქტორში.

თუთიის სულფიდის პიგმენტურ თვისებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სინთეზის პირობები. სინთეზის დროს ფორმირდება თუთიის სულფიდის ფაზური შედგენილობა და სტრუქტურა, რომელიც დამოკიდებულია გამოსავალ რეაგენტთა თანაფარდობაზე, სინთეზის PH-ის სიდიდეზე და სხვა ცვლად ფაქტორებზე.

თუთიის სულფიდი თერმული დამუშავების შედეგად ღებულობს პიგმენტურ თვისებებს, რის გამოც მას იყენებენ სხვადასხვა მარკის ლითონების დასამზადებლად. ექსპერიმენტალური მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ტემპერატურის გაზრდით მდულარე შრის ღუმელში სულფიდის დაჟანგვის სიჩქარე 2-4-ჯერ აღემატება მისი დაჟანგვის სიჩქარეს უძრავ ფაზაში. ჟანგბადის კონცენტრაციის გაზრდა მნიშვნელოვნად ზრდის რეაქციის სიჩქარეს.

თუთიის ბელილა ქიმიური შემადგენლობით წარმოადგენს თუთიის ოქსიდს, რომელიც კრისტალდება გექსაგონალურ სისტემაში, ნაწილაკთა ზომა ნაკლებია 1 მკმ. თუთიის ბელილა გახურებისას გადადის ყვითელში, ხოლო შემდგომი გაცივებით კიდევ იბრუნებს თეთრ ფერს.

ბარიუმის სულფატი გამოიყენება: საღებავებში შემავსებლად, ქალაღის მრეწველობაში, მედიცინაში და სხვა, მისი გრანულირებული შემადგენლობა გამოყენების სფეროს მიხედვით არის სხვადასხვა.

პიგმეტური თუთიის სულფიდის, თუთიის თეთრას და ბლან-ბიქსის, ამონიუმის სულფატის სინთეზ-პროცესი განხორციელებადი შეკრული ციკლით არ მოითხოვს პროცესში გამოყენებულ ხსნარებსა და ჩამდინარე წყლების გაწმენდასა და უტილიზაციას. სინთეზირებული პროდუქტების თვითღირებულება დაბალია, ვიდრე ტექნოლოგიებით მიღებული. ამდენად შემოთავაზებული სინთეზ-პროცესი ეკონომიურად მისაღებია.

### **თემა: პოლიმერები ფარმაციაში**

სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე

სტუდენტი: ნათია ლომიძე

ხელმძღვანელი: მაია სულაბერიძე

სინთეზური ქიმიის და განსაკუთრებით პოლიმერული ქიმიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ახალი დამხმარე ნივთიერებები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ფარმაცევტულ წარმოებაში ახალი სამკურნალ-წამლო ფორმების შექმნისთვის. სამედიცინო პრაქტიკაში პოლიმერების გამოყენებამ რევოლუციური როლი შეასრულა წამალთა ტექნოლოგიაში, მან შესაძლებლობა მოგვცა შექმნილიყო ახალი სამკურნალწამლო ფორმები, მაგალითად სპანსულები, მიკროკაფსულები, სამკურნალო საღეჭი რეზინები, ახალი სამკურნალწამლო ფორმები ოფთალმოლოგიაში და ა. შ. მთელ რიგ შემთხვევაში გამოიყენება ნაერთები, რომელთაც აქვთ უნარი გაიხსნან, როგორც მჟავე ისე ტუტე გარემოში, მაგრამ არ იხსნებიან ნეიტრალურ გარემოში. ბიოინერტული, ბიოშეუთავსებადი პოლიმერები, მათ შორის სამედიცინო რეზინები, ფართოდ გამოიყენებიან მედიკამენტების შესაფუთი მასალების, წამლების შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო მასალების დამზადებისთვის.

ამრიგად, ახალმა დამხმარე ნივთიერებებმა პოლიმერების კლასიდან ხელი შეუწყვეს ტექნოლოგიურ პროცესების დახვეწას და ტრადიციული სამკურნალწამლო ფორმების ხარისხიანობის და ეფექტურობის ზრდას.

საერთაშორისო ფარმაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის -ВНИИФ ახორციელებს კვლევებს ახალი დამხმარე ნივთიერებების ასორტიმენტის გაფართოების მიზნით. ამუშავებს მათი ხარისხის ნომრებს და გამოცდის მეთოდებს, მონაწილეობს პოლიმერებზე სტანდარტების დამუშავებაში, ატარებს ექსპერიმენტებს.

## **თემა: ძვირფასი ქვების სამკურნალო თვისებები**

სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე

სტუდენტი: ლინდა ხელაძე

ხელმძღვანელი: მაია სულაბერიძე

შორეულ წარსულში ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ, რომ ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. დედამიწაზე არსებული ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს წარმომადგენლები ცხოვრობენ ერთი და იგივე კანონებით. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ადამიანმა დაივიწყა, რომ ეს კანონები მათ მიერ არ იყო შექმნილი და გაუჩნდათ მისწრაფება ემართათ ისინი, დომინირება მოეხდინათ მათზე. გამოეყო რა ბუნებას, ადამიანმა დაკარგა მისი კანონების ინტუიციური გაგების უნარი.

უკანასკნელ ათასწლეულების მანძილზე მედიცინის განვითარების მიუხედავად, ადამიანები მაინც ავადდებიან, უფრო მეტიც, ჩნდება ახალი დაავადებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მეცნიერების განვითარებასთან, მაგ: ალერგია პრეპარატებზე, იმუნიტეტის დაქვეითება, დაავადებები, რომელიც დაკავშირებულია ცუდ ეკოლოგიასთან და ა. შ. ამიტომ დღესდღეობით ადამიანი კვლავ უბრუნდება იმ ცოდანა-გამოცდილებას, რომელიც დაიკარგა მრავალი ასეული წლის წინ. ეს მეთოდები ხშირად სცილდება მატერიალისტური მეცნიერების საზღვრებს. მაგ: მკურნალობის ასეთ მეთოდს მიეკუთვნება მკურნალობა ძვირფასი ქვების და კრისტალების გამოყენებით.

ქვებისადმი თავყვანისცემის კულტის წარმოშობა ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ეს იყო ყველაზე ადრეული გამოვლინება ბუნების ძალების სასწაულმოქმედებისადმი რწმენისა.

ამჟამად არსებობს ხალხური მედიცინის კაბინეტები, ასევე დიტოთერაპიის კაბინეტები, რომლებიც ანხორციელებენ მინერალებით და მეტალებით მკურნალობას.

ხალხური მედიცინის მეთოდები ჯერ კიდევ მთლიანად შეშწავლილი და გაშიფრული არ არის და საჭიროებს ხელახლა შესწავლას.

**თემა: სახის კოსმეტიკური მასაჟი**

სპეციალობა: მასაჟისტი III საფეხური

სტუდენტი: სოფიო გეგუჩაძე

ხელმძღვანელი: ნია მოსეშვილი

ჰიგიენური კოსმეტიკური მასაჟი წარმოადგენს ნორმალური, განსაკუთრებით მშრალი და თხელი კანის ნაადრევი დანაოჭება-დაბერების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, ასევე გააჩნია სამკურნალო ზემოქმედება უკვე გამოვლენილ ნაოჭებზე, სახისა და კისრის დაქვეითებულ ტურგორზე. მასაჟის დაწყების მომენტი განისაზღვრება სახის კანის მდგომარეობით. ჩვეულებრივ, 30 წლის ასაკისთვის კანის ელასტიურობა ქვეითდება, ამიტომ ამ ასაკში მასაჟი აუცილებელი და სასარგებლოა.

**თემა: რაქიტი-მასაჟის როლი რაქიტის მკურნალობის დროს**

სპეციალობა: მასაჟისტი III საფეხური

სტუდენტი: დიანა ჯანიშვილი

ხელმძღვანელი: ნია მოსეშვილი

რაქიტი მთელი ორგანიზმის დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ნივთიერებათა ცვლის ყველა სახის ღრმა დარღვევით. რაქიტის ძველი სახელწოდება-“ინგლისური დაავადებაა“-დაკავშირებულია გასულ საუკუნეში ინგლისის სამრეწველო ქალაქებში ამ დაავადების ფართოდ გავრცელებასთან. ამჟამად, აქტიური პროფილაქტიკის წყალობით, რაქიტის მსუბუქი ფორმა სუსტი გამოვლინებებით, დღემდე, ადრეული ასაკის ბავშვთა ყველაზე ხშირი დაავადებაა და მოითხოვს მშობლების განსაკუთრებით ყურადღებას. დაავადება ვითარდება ორგანიზმში D ვიტამინის დეფიციტის შედეგად. D ვიტამინი აუცილებელია ფოსფორ-კალციუმის ბალანსის შესანარჩუნებლად. ის ხელს უწყობს ძელოვანი ქსოვილის ნორმალურ ფორმირებას. იგი ერთადერთი ვიტამინია, რომელიც კანში მზის (ულტრაიისფერი) სხივების ზემოქმედებით წარმოიქმნება. რაქიტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სუფთა ჰაერზე ბავშვების არასაკმარისი ყოფნა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, არარაციონალური კვება (ვიტამინებისა და მიკროელემენტების უკმარისობა), ხშირი და ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებები, აგრეთვე ჰიპოდინამია. რაქიტი



ხშირია დღენაკლულ ბავშვებში, ტყუპებში, სწრაფად მზარდ ბავშვებში, წონის სწრაფად მომატებისას.

**თემა: სქოლიოზი- მასაჟის როლი სქოლიოზის მკურნალობის დროს.**

სპეციალობა: მასაჟისტი III საფეხური

სტუდენტი: პაპავა მირანდა

ხელმძღვანელი: ნია მოსემვილი

ხერხემლის ყველაზე გავრცელებული დეფორმაციაა სქოლიოზი - ხერხემლის გვერდითი გამრუდება. სქოლიოზი მალეების დეფორმაციით, მყესებისა და კუნთების სტრუქტურული ცვლილებებით მიმდინარეობს .

ტანადობის დარღვევებისგან განსხვავებით, სქოლიოზი არ არის მხოლოდ ხერხემლის ადგილობრივი გამრუდება; ის მთელი ორგანიზმის დავადებაა. სქოლიოზი 100 -დან 3 ბავშვს აღნიშნება, ამასთანავე, გოგოებს - 5-6-ჯერ უფრო ხშირად. მისი მთავარი მიზეზი ტანადობის დარღვევა ან ხერხემლის თანდაყოლილი თავისებურებაა.

**თემა: Addiction-დამოკიდებულება**

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური

სტუდენტი: ნაზი გაბუნია

ხელმძღვანელი:თამარ ჩხაიძე

„დამოკიდებულება“ – ეს არის აკვიატებული ლტოლვის მდგომარეობა რაღაცის ან ვიღაცის მიმართ, რომელიც პრაქტიკულად არ ექვემდებარება კონტროლს. პროგრესირებასთან ერთად დამოკიდებულება მთლიანად იპყრობს ადამიანის ყოველდღიურობას, და-ნარჩენი ასპექტები კი თანდათან კარგავენ აქტუალურობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამოკიდებულება უკვე ჩამოყალიბებულია, მასთან გამკლავება უფრო რთულია და როგორც დამოკიდებული ადამიანისგან, ასევე მისი ოჯახის წევრებისგან ბევრ რესურსს მოითხოვს. ძალიან მნიშვნელოვანია, გააცნობიეროთ, რომ

თქვენ დამოკიდებული ხართ – ეს პირველი ნაბიჯია წარმატებისკენ. თუ ადამიანი აცნობიერებს, რომ ის დამოკიდებულია, დაეხმარეთ მას, ირწმუნოს საკუთარი თავის. გახსოვდეთ, რწმენა და სიყვარული სასწაულმოქმედია!

დამოკიდებულების ყველაზე გავრცელებული სახეობებია: ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება, ტოქსიკომანია, კვებითი დამოკიდებულება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ინტერნეტ-დამოკიდებულება, სამსახურზე დამოკიდებულება, ემოციური მიჯაჭვულობა (დამოკიდებულება სხვა ადამიანზე), ნარკოტიკული დამოკიდებულება და სხვ.

### **თემა: რა არის ანტიოქსიდანტი?**

სპეციალობა: მასაჟისტის III საფეხური

სტუდენტი: მაკა დეისაძე

ხელმძღვანელი: ედიშერ მარგველაშვილი

ანტიოქსიდანტები - ის ნივთიერებებია, რომელთაც აქვთ უნარი დათრგუნონ ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვითი პროცესები. სიცოცხლისათვის საშიში უამრავი დაავადება (ათეროსკლეროზი, მიოკარდის ინფარქტი, კიბო, კუჭის წყლული, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებები) თან ახლავს ორგანიზმში მჟანგავი სტრესის სინდრომის განვითარებას. სწორედ ეს სინდრომი უდევს ერთ-ერთ საფუძვლად, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ორგანიზმის ნაადრევ დაბერებას. ჟანგვითი პროცესების დროს ორგანიზმში გროვდება თავისუფალი რადიკალები და ზეჟანგოვანი ნაერთები, რომლებიც განაპირობებენ არა მხოლოდ სხვადასხვა დაავადებების აღმოცენებას, არამედ მათ სწრაფ განვითარებას. ნორმალურ პირობებში თავისუფალი რადიკალები ადამიანის ორგანიზმში მცირე რაოდენობით არსებობს, მაგრამ არახელსაყრელ პირობებში (დაბინძურებული გარემო, მავნე ჩვევები, სტრესი, სხვადასხვა დაავადებები, ანტიოქსიდანტური დამცავი ფაქტორების არასაკმარისი რაოდენობა) იწყება თავისუფალი რადიკალების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ეს თავის მხრივ განაპირობებს ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა სისტემების ნორმალური ფუნქციონირების მოშლას. ბოლო წლების მრავალი კვლევა ამას ადასტურებს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ანტიოქსიდანტების მიღება რეგულარულად.

**თემა: წარმატების საიდუმლო**

სპეციალობა: მოლარე (ბანკის და ა. შ. ) III საფეხური

სტუდენტი: როზა ახოზაძე

ხელმძღვანელი: ანა კილაძე

ყველა ჩვენგანი ოცნებობს წარმატებულ კარიერაზე. ალბათ ყველას გაქვთ რაღაცის ნიჭი და გინდათ იმ ნიჭით რაღაცას მიაღწიოთ. ყველა ოცნებობს, ოცნებობს წარმატებასა და მსოფლიო აღიარებაზე. რა არის წარმატების საიდუმლო?

წარმატების მოპოვება თუ გინდათ, მაშინ ძალიან უნდა გიყვარდეთ ის საქმე, რომლითაც გნებავთ შემდგომი წარმატების მიღწევა. მაგრამ წარმატებაში მარტო ნიჭიერება როდია, აქ აუცილებელია დისციპლინაც. საკუთარ თავს უნდა დაუდგინო გარკვეული წესები და დაიცვა ისინი. საჭიროა, აირჩიო პრიორიტეტები და უარი თქვა ბევრ ისეთ რაღაცაზე, რაც დროებით შესაძლებელია მეტად მიმზიდველი მოგეჩვენოს. უნდა იყოთ თავმდაბალი და ნაკლებად მნიშვნელოვანია, რამდენად კარგი ხარ. თავმდაბლობა გესაჭიროება იმისთვის, რომ მოისმინო, მიიღო კარგი რჩევა, დროულად შეაფასო ახალი შესაძლებლობები და რაც მთავარია აღიარო ის რომ ამ ქვეყნად ყველაფერი არ იცი. სხვათა აზრის მოსმენა, საკუთრი წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზების გაანალიზება - აი რა არის აუცილებელი თქვენი დასახული მიზანის განსახორციელებლად.

აუცილებლად უნდა იყოთ დარწმუნებული საკუთარ თავსა და საკუთარ ძალებში. თუ მარცხის შიში დაგეუფლად, მაშინ იცოდეთ რომ ვერ მიაღწევთ, რადგან მარცხის შიში წარმატებას ხელიდან გაცილით და გაძლევთ საშუალებას იაროთ მიზნისკენ. აუცილებლად უნდა გჯეროდეთ, რომ თქვენ მიაღწევთ დასახულ მიზანს. არასოდეს მიატოვოთ დაწყებული საქმე, იქონიეთ მოთმინება. თქვენი მიზნის განსახორციელებლად შეიძლება წლებიც დაგჭირდეთ. შეეცადეთ, რომ ყოველთვის იფიქროთ პოზიტიურად, პოზიტივი უფრო გაგიადვილებთ საქმეს. არ აჩქარდეთ.

წარმატებისთვის აუცილებელია მიიღოთ სწორად მიღებული გადაწყვეტილებები. ამიტომ ისწავლეთ შეცდომებზე და გამოასწორეთ ყოველივე ეს. დატკბით ყოველივე წუთით, გახადეთ, ცხოვრება მხიარული და საინტერესო.

**თემა: ღეროვანი უჯრედები- ახალი ერა მედიცინაში**

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური

სტუდენტი: ფიქრია სამარგულიანი

ხელმძღვანელი: ეკატერინე ჯავახია

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი 200-ზე მეტი ტიპის უჯრედისაგან შედგება, ყველა მათგანს კი დასაბამს ღეროვანი უჯრედი აძლევს. განვითარების როგორც ადრეულ, ისე გვიან ეტაპზე ღეროვანი უჯრედების სპეციალიზაციისა და დიფერენციაციის ხარჯზე ხდება სხვადასხვა ტიპის (კანის, სისხლის, კუნთის, ნერვული) უჯრედების ჩამოყალიბება. ღეროვან უჯრედებს როგორც თავისი თავის რეგენერაციის, ასევე სხვა ტიპის უჯრედების სპეციალიზაციის უნარი გააჩნიათ. არსებობს ემბრიონალური, ფეტალური და მოზრდილ ადამიანთა ღეროვანი უჯრედები. სამედიცინო კვლევისათვის სამივე ტიპი გამოსადგეგია, თუმცა თითოეულ მათგანს სხვადასხვა შესაძლებლობები და ზღვარი გააჩნია.

მოზრდილი ადამიანების ღეროვან უჯრედებს იყენებენ ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა: ლეიკემია, ნამგლისებურ უჯრედოვანი ანემია, ძვლის ტვინის დაზიანება და იმუნოდეფიციტით გამოწვეული სხვა პათოლოგიები. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში მათ მიეცემა შესაძლებლობა, ღეროვანი უჯრედების საშუალებით უმკურნალონ ისეთ დაავადებებს, რომლებიც დღეს უკურნებლად არის მიჩნეული. როგორებიცაა: ავთვისებიანი სიმსივნეები, პარკინსონის დაავადება, ზურგის ტვინის დაზიანებები. ღეროვანი უჯრედების გამოყენება შესაძლებელია არა მარტო სამკურნალო მიზნით, ასევე შესაძლებელია მათი გამოყენება პლასტიკურ ქირურგიაში. ფართოდ იყენებენ ღეროვან უჯრედებს სტომატოლოგიაშიც.

თანამედროვე მედიცინა, როგორც მეცნიერება წარმოდგენილი ტემპით ვითარდება. ღეროვანი უჯრედების აღმოჩენა და მისი გამოყენება, არის საუკუნის აღმოჩენა და დიდი მიღწევა მეცნიერებაში, რომელსაც მთელს მსოფლიოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

**თემა: ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები**

სპეციალობა: მასაჟისტი III საფეხური

სტუდენტი: თეონა ჩახუნაშვილი

ხელმძღვანელი: ანა სოფრომაძე

ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. უშუალო კავშირები ბერძნულ, რომაულ, არაბულ სამყაროსთან, მათ აღიარებულ სამედიცინო ცენტრებთან განაპირობებდა სამედიცინო ლექსიკის შემოტანას და დამკვიდრებას. დროთა განმავლობაში იგი ორგანულად ერწყმოდა ქართული მედიცინის სკოლების ორიგინალურ შემოქმედებას. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, როცა სამედიცინო ტერმინოლოგია ლათინურ ენაზე დაკანონდა და ყველა ქვეყანას მიეცა მისი თარგმნის უფლება, საქართველოში დაიწყო ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შემუშავების ახალი ეტაპი.

ადამიანების ყოფის ნებისმიერი სფეროს საერთაშორისო ტერმინოლოგია სწორედ ლათინური ენის ლექსიკაზეა დაყრდნობილი. თითოეული ჩვენთაგანის ყოველდღიურ მეტყველებაში გვხვდება ძალიან ბევრი საერთაშორისო ტერმინი, რომელიც ჩვეულებრივ ლათინურიდან მომდინარეობს.

ლათინურმა ენამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა და საბოლოოდ მედიცინის ენად იქცა ახალი ლათინური. ამ ენაზე იქმნებოდა სამედიცინო ნაშრომები. ამან თავისი დადებითი როლი ითამაშა მედიცინის განვითარებაში – მოწესრიგდა ტერმინოლოგია და დეფინიციები.

ლათინური ამჟამად კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ენაა. ლათინურს სწავლობენ ფილოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები, ბიოლოგები, მედიკოსები. ლათინურ ენაზე გამოიწერება რეცეპტი თითქმის მთელს მსოფლიოში. ლათინური ანბანი საფუძვლად დაედო ყველა ახალ ევროპულ ენას. ლათინური ანბანით სარგებლობს თითქმის ყველა მეცნიერება. ამიტომ, თითოეული ჩვენგანისათვის იგი ცნობილია სკოლიდანვე ქიმიის, გეომეტრიის და სხვა საგნების მეშვეობით.

## **თემა: ინფექციური ენდოკარდიტი**

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური

სტუდენტი: ნათია გურეშიძე

ხელმძღვანელი: ხათუნა სირამე

ინფექციური ენდოკარდიტი არის ინფექციურ-ანთებითი დაავადება, რომელიც აზიანებს ენდოკარდიუმს, გულის სარქველებს და მიმდებარე სისხლძარღვების შიგნითა გარსს. ენდოკარდიტთან ერთად ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს თირკმელების, ღვიძლისა და ელენთის დაავადებაც.

ინფექციური ენდოკარდიტის მთავარ მიზეზად მიიჩნეოდა სტრეპტოკოკული ინფექცია, რომელიც მკურნალობას ადვილად ემორჩილება. ამჟამად ანტიბიოტიკების ფართო გამოყენების გამო გამომწვევი მიკრობების სპექტრი შეიცვალა: ინფექციურ ენდოკარდიტს იწვევს სტაფილოკოკები, ლურჯ-მწვანე ჩხირები, სოკოვანი მიკროორგანიზმები. განსაკუთრებით მძიმედ სოკოვანი ინფექციით გამოწვეული დაავადება მიმდინარეობს.

ენდოკარდიტი შეიძლება იყოს აქტიური და არააქტიური. დაზიანება ზოგჯერ მხოლოდ სარქველს მოიცავს, ზოგჯერ კი სცდება მას.

მიმდინარეობა და სიმპტომები. კლასიკური ინფექციური ენდოკარდიტის დროს ავადმყოფს აქვს მაღალი ტემპერატურა, აციებს, აწუხებს სისუსტე, ქოშინი, ოფლიანობა, ტკივილი გულმკერდის არეში, ხველა და ღებინება, იკლებს წონას, კანზე უჩდება გამონაყარი, თითები დოლის ჯოხისებრი უხდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ნორმალური ტემპერატურა ან სუფთა კანი აქვს. დიდდება ელენთა, ზიანდება თვალის ბადურა გარსი, ანთებითი პროცესი აზიანებს თირკმელებს.

დიაგნოსტიკა. აუცილებელია სისხლის ანალიზი, რომელიც ანთებისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს გამოავლენს. ანალიზისთვის სისხლს არტერიიდან იღებენ. ინფექციური ენდოკარდიტის დროს სისხლში აუცილებლად აღმოჩნდება ინფექცია. ექოკარდიოგრაფიაზე ჩანს სარქველებზე არსებული 3 მმ-ზე დიდი ზომის მიკრობული ვეგეტაციები. დიაგნოზი ათიდან რვა შემთხვევაში სწორედ ექოკარდიოგრაფიას ეფუძნება.

მკურნალობა. ინფექციურ ენდოკარდიტს მკურნალობენ მედი-

კამენტებით, გულის მდგომარეობის მუდმივი კონტროლის თანხლებით. დაავადება მეტწილად იკურნება. თუ კონსერვატიული მკურნალობა უეფექტო აღმოჩნდა, მიმართავენ ქირურგიულ ჩარევას. ქირურგიული მკურნალობა მოწოდებულია, როდესაც:

- ვითარდება გულის უკმარისობა;
- ანტიბიოტიკოთერაპიის მიუხედავად, სისხლში მაინც არის მიკროორგანიზმები;
- ენდოკარდიტი სოკოვანია.

გულის მძიმე უკმარისობით გართულებული ინფექციური ენდოკარდიტი ქირურგიული მკურნალობის გარეშე ათიდან 6 შემთხვევაში სიკვდილით სრულდება, ხოლო აორტის სარქვლის დაზიანებისას ავადმყოფი ათიდან 8 შემთხვევაში იღუპება. ოპერაცია გულის უკმარისობის პირველივე ნიშნების გამოვლენისთანავე უნდა გაკეთდეს.

### **თემა: არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები**

სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე V საფეხური

სტუდენტი: სოფიო გაბადაძე

ხელმძღვანელი: პროფესორი, ქეთევან გაბუნია

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები წამოადგენენ ტკივილის გამაყუჩებლებს, ანუ ანალგეტიკებს. მათი მოქმედება ეფუძნება პროსტაგლანდინების ბლოკირებას, რომლებიც წარმოიქმნებიან ქსოვილის ნებისმიერი დაზიანების ადგილებში. არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებს შეუძლიათ ტკივილის გრძნობის ბლოკირებაც და ანთების შემცირებაც, მათ იყენებენ რევმატოიდული ართრიტების, ოსტეოართრიტისა და სხვა რევმატიული მდგომარეობების დროს. ქიმიური სტრუქტურისა და აქტივობის ხასიათის მიხედვით ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები შემდეგ ჯგუფებად ერთიანდება:

\* სალიცილატები (აცეტილსალიცილის მჟავა (ასპირინი));

\* პირაზოლიდინები;

\* ინდოლმმარმჟავას წარმოებულები (ინდომეტაცინი);

\* ფენილმმარმჟავას წარმოებულები (დიკლოფენაკი);

\* პროპიონის მჟავას წარმოებულები (იბუპროფენი, ნაპროქსენი, კე-

ტოპროფენი);

\* ოქსიკამები (პიროქსიკამი, მელიოქსიკამი, მოვალისი და სხვა);

\* ალკანონები (ნაბუმეტონი);

\* სულფონამიდები (ნიმესილი).

არასტეროიდები მჟავური ბუნების სხვადასხვა ქიმიურ სუბსტანციებს განეკუთვნებიან, მაგრამ მექანიზმი საერთოა - აფერხებენ პროსტაგლანდინის სინთეზს. ამუხრუჭებენ ციკლოოქსიგენაზას - (COX) და შესაბამისად, პროსტაგლანდინის დათრგუნვაზეა დამყარებული. არასტეროიდების ძირითადი ეფექტები: ტკივილგამაყუჩებელი, ანალგეზიური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიფლოგისტური, სიცხის დამწვევი, ანტიპირეტრული.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების მიღება უნდა მოხდეს ექიმის დანიშნულებით.

### **თემა: როგორ ვასწავლოთ უკეთ**

სპეციალობა: მოლარე (ბანკის და ა. შ. ) III საფეხური

სტუდენტი: სალომე ცომაია

ხელმძღვანელი: გოჩა გიორგიძე

„მომეცით ერთი დუჟინი კარგად განვითარებული ბავშვი და სრული თავისუფლება, აღვზარდო ისინი ისე, როგორც მე ჩავთვლი საჭიროდ, გარანტიას გაძლევთ, რომ მათგან მივიღებ იმას, ვისაც გინდათ - ექიმს, იურისტს, მხატვარს, სავაჭრო ფირმის ხელმძღვანელს, მათხოვარს და ქურდსაც კი, ამასთან, მათი ტალანტების, მიდრეკილებების, უნარების, გატაცებების, მოწოდებების და რასის მიუხედავად“ - ეს სიტყვები ბიჰევიორიზმის ერთერთ დიდ ფუძემდებელს ჯონ უოტსონს ეკუთვნის.

სწავლა ადამიანის ქცევის ერთ-ერთ ურთულეს ფორმას წარმოადგენს. მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობენ და იკვლევენ მას. არსებობს მრავალი ალტერნატიული თეორია, რომელიც ამ პროცესის ახსნას ცდილობს.

წარმოდგენილი თემაც სწორედ სწავლების პრობლემებს ეხება და ჩვენ მასში შევეცადეთ კვლევისა და ანალიზის მეშვეობით მოგვეხდინა და თქვენთვის წარმოგვედგინა ის რეალობა რის წინაშეც



ვდგევართ დღეს მოზარდთა და ბავშვთა სწავლების კუთხით.

ექსპერტთა აზრით ჩვენს ქვეყანაში ძალზე ბევრი პრობლემაა, მაგრამ მათგან უმნიშვნელოვანესი სწორედ განათლების პრობლემაა, რომელმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი კრიზისი განიცადა. ამის ძირითად მიზეზს კი სწორედ გაუმართავი და არასტაბილური პოლიტიკა წარმოადგენს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი რეფორმა და ნებისმიერი ეფექტური სისტემა წარმატებით, რომ განხორციელდეს შესაბამისი გარემო და კადრებია ამისთვის საჭირო.

რამდენად იცნობენ დღევანდელი პედაგოგები ბავშვებსა და მოზარდებს? რამდენად ესმით მათი? რამდენად სწვდებიან მათ სულიერ სამყაროს და ახერხებენ სწორი კომუნიკაციის დამყარებას მათთან? რამდენად შეუძლიათ მათ მართონ საკუთარი ემოციები, რათა არ შეუშალოს მოზარდთან და ბავშვთან კომუნიკაციის პროცესში ხელი საკუთარ თავში გადაუჭრელმა პრობლემებმა და შინაგანმა კონფლიქტებმა?

ჩვენ შევეცადეთ ფსიქოლოგიური ტესტირების მეშვეობით გამოგვეკვლია 50 ექსპერიმენტში მონაწილე პედაგოგი. კვლევისათვის გამოვიყენეთ შემდეგი სატესტო მასალა: „არ ღირს შევაწყვეტინო საუბარი ვინმეს, ვიდრე ბოლომდე არ მოვუსმენ“ და „რამდენად იცნობენ პედაგოგები მოზარდთა ფსიქოლოგიას“

კვლევის შედეგებმა პრაქტიკულად გაამართლა მოლოდინები და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უპირველეს ყოვლისა, ცვლილებები უნდა დაიგეგმოს არა სასწავლო პროგრამულ სტრატეგიებში, არამედ ადამიანური რესურსების სისტემური მართვის და ფსიქოლოგიური სტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, უდიდესმა ჰუმანისტმა და ქართველმა, ქართული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა და „განწყობის თეორიის“ ავტორმა დიმიტრი უზნაძემ, ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვთა ფსიქოლოგიის კვლევას, მან შექმნა პედაგოგიური კონცეფცია, რომლის საფუძველს მისი უშუალო პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოადგენდა.

მან პირველმა აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა შევძლოთ იმ უფსკრულის აღმოფხვრა, რომელიც მოზარდსა და პედაგოგს შორის არსებობს. ჩვენ უნდა დავძლიოთ უზნაძისეული „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“

ჩვენ არ გვჭირდება ახლის ძიება, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ და გამოვიყენოთ ის დიდი გამოცდილება, დანატოვარი, რაც ჩვენმა

## სახორბალომბრივი კოლეჯი “კავკასიონი”

დიდმა მეცნიერმა თითქმის საუკუნის წინ დაგვიტოვა.

გინდათ რომ იყოთ წარმატებული პედაგოგი? - მაშინ უნდა გვახსოვდეს; რომ ჩვენი წარმატების პირობებია:

- გულწრფელობა და რეალურობა
- დაფასება, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება
- ნდობა და ემპათია

პედაგოგი უნდა იყოს ფასილიტატორი, რომელიც ხელს უწყობს სწავლისათვის შესაბამისი პირობებისა და გარემოს შექმნას.

**შთაბეჭდილებების გვერდი**

ქაღალდის ზომა ა5  
ნახეჭდი ფორმა 2.75  
ტირაჟი 100